# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 56

„2“ სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე გმირ კურსანტთა ქუჩასთან არსებული I, II და III შესახვევებისთვის გმირ კურსანტთა სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში მდებარე გმირ კურსანტთა ქუჩასთან არსებულ I, II და III შესახვევებს მიენიჭოს გმირ კურსანტთა სახელი თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**2.** დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


Y_ 4627594.1338
III შესახვევი
X_483685.2318
Y_ 4627732.7889
X_483694.4416
Y_ 4627589.9306
X_484094.4183
Y_ 4627797.5556
II შესახვევი
X_484186.7136
Y_ 4627751.4654
I შესახვევი
გმირ კურსანტთა ქუჩა
X_484488.8951
Y_ 4628034.7583
X_484196.3281
Y_ 4627132.7375
X_484486.0265
Y_ 4627604.6247